



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კახური ღორი

კახური ღორი, უძველესი ენდემური ჯიშია. ევრ. მოკლევანა გარეული ღორის მოშინაურების შემდეგ, ხალხური სელექციის გზით ჩამოყალიბდა ცალკე ჯიშად. განეკუთვნება მომთაბარე ტიპს. ფერად შავია, ზოგჯერ მუქი ნაცარა ან მონითალო, აქვს უხეში კონსტიტუცია, სქესობრივად გვიან მწიფდება. გარემო პირობებს ადვილად ეგუება, ნაკლებმომთხოვნია. იკვებება ტყის მცენარეთა ნაყოფით, იყენებს აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნაწვერალსა და ნაკლებნაყოფიერი ტენიანი ჭალის საძოვრებს. კერატის ცოცხალი მასაა 110-120 კგ (უდიდესი - 160 კგ), ნებვისა - 95-100 კგ (უდიდესი - 130 კგ-მდე). ნაყოფიერება - 7-8 გოჭი, მერძეულობა - 30-40 კგ. გარეული ღორის მსგავსად, იბადებიან ზოლიანი გოჭები (ასეთი შეფერვა ქრება 3-5 თვის ასაკში). გასუქების პერიოდში დღეღამური წონამატია 200-300 გ. 1 კგ მასის მოსამატებლად სჭირდება 8-8,5 საკვები ერთეული. აქვს მაღალხარისხოვანი მჭლე ხორცი, რ-ის წმინდა (ტანხორცის) გამოსავალია 63-64%, ქონისა - 20-21%. კ. ღ. გავრცელებული იყო თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, დუშეთის, თეთრი წყაროს და სხვ.

რ-ნებში, სადაც 1974 მისი რაოდენობა 2 ათ. სულს აღწევდა. კ. ღ-ის სულადობა ღორის აფრიკული ცხელების ეპიზოტის გამო (2006-07) მკვეთრად შემცირდა. ძირითადად შემორჩენილია ახმეტის მუნიციპალიტეტში.

**ნ. მეღითაური**

**გ. გოგოლი**

---